საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 24 0000012956

10/01/2024

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 12 ივლისის №2 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის № 872683; 12/07/2023) წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სააკრედიტაციო განაცხადი „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი სამაგისტრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 16 აგვისტოს №998480 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად.

2.3. ცენტრის 2023 წლის 25 სექტემბრის №1232448 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 06 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.4. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.5. ზეპირი მოსმენა გაიმართა **2023 წლის 20 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

3.1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
3.2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლე ბლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3.3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის №12953 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
3.4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, თუ როგორ ნაწილდება სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები ორ უსდ-ს შორის და დამატებით განისაზღვროს საორიენტაციო შეხვედრების ფორმატი";

2. რეკომენდირებულია სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის გაფორმებულ კონტრაქტსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს სტუდენტების მხარდაჭერის პროცედურები, იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამა გაუქმდება;
3. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებაზე;
4. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს საკითხავი სივრცე სტუდენტებისთვის, რათა შეძლონ იმ წიგნების ადგილზე გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ბიბლიოთეკიდან გასატანად და გაიზარდოს ბიბლიოთეკიდან გასატანი წიგნების რაოდენობა;
5. რეკომენდირებულია ფინანსური რისკის სტრატეგიის შემუშავება, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული როლები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ამოქმედების შემდეგ, გაგრძელდეს მუშაობა პროგრამის განვითარებაზე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად
2. კიდევ ერთხელ განიხილეთ პროგრამის დასახელება;
3. სასურველია პროგრამის ამოქმედების შემდეგ გაგრძელდეს სწავლის შედეგების შემუშავება, სტუდენტების შენიშვნების გათვალისწინებით;
4. სასურველია გაიზარდოს იმ ორგანიზაციების სია, სადაც პროგრამის მონაწილეები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას;
5. სასურველია, მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომელთაც არა აქვთ კვალიფიკაცია ჯანმრთელობის სფეროში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განესაზღვროთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივ მიმართულებაში უნივერსიტეტის შიდა გამოცდა, ან მოეთხოვოთ წარმოადგინონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შინაარსის მქონე კურსების გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ან შესაბამისი უნარების დამადასტურებელი სამუშაო გამოცდილების დოკუმენტი;
6. სასურველია პროგრამას დაემატოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც განხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ;
7. სასურველია ჩადოს ინვესტიცია TMA-სა და GIPA-სთან ერთობლივი კვლევითი პროექტის შემუშავებაში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სამაგისტრო ნაშრომის დაწერის გზით;
8. სასურველია გაგრძელდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემუშავება სტუდენტების გამოხმაურების გათვალისწინებით პროგრამის ამოქმედების შემდეგ;
9. სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტში აღიწეროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომიტეტის წევრების არჩევის პროცედურა;
10. სასურველია პროგრამასა და ხელმძღვანელს შორის შეთანხმების ფორმას დაემატოს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა და მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობა;
11. პროგრამის ადმინისტრაციისთვის სასურველია განისაზღვროს პარტნიორი უნივერსიტეტების და მათი ადმინისტრაციული სამსახურების კოორდინაციისა და უფლებები/მოვალეობების განსაზღვრის მექანიზმი;
12. სასურველია დაინერგოს სამკითხველო ოთახის/სივრცის წინასწარ დაჯავშნის მექანიზმი;
13. სასურველია, უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ კარგად განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ორ უმაღლეს სასწავლებლებს შორის (გაანაწილონ დავალება და პასუხისმგებლობა მათ შორის, რათა თავიდან აიცილონ გადაფარვა და სამუშაო პროცესი იყოს უფრო დინამიური და ეფექტური).

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 20 დეკემბერს.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2024 წლის 20 დეკემბრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა (ერთობლივი) / Applied Public Health (Joint Programme)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი / Master of Public Health
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	ქ. წამებული 51/2, თბილისი, 0104, საქართველო, მარი ბროსეს ქ. №2, ქ.თბილისი, 0105, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 20 დეკემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი - 2024 წლის 20 დეკემბრამდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 31 დეკემბერი